

წესდება

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესი“ დაფუძნებულია საქართველოს კანონის „კერძო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ (რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში; სარეგისტრაციო კოდი 212807550, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ფორმირებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად.

- 1 სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით და ამ წესდებით.
- 2 სკოლა შექმნილია კერძო ქონების საფუძველზე და მის კონტროლს ახორციელებს დირექტორი.
- 3 დასახულ მიზნებსა და დაკისრულ ფუნქციებს სკოლა ახორციელებს სპეციალური უფლება-უნარიანობის ფარგლებში. იგი საკუთარი სახელით იძენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, ანგარიში ბანკში და კერძო

სამართლის იურიდიული პირის სხვა ატრიბუტიკა. მის: ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი ქ.ბათუმი ტ.აბუსერიძის 11 -ა (ფილიალი)

#20. მუხლი 2. მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

სკოლის მიზანია:

- ა) ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- ბ) მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობის გაცნობიერებაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. სკოლის სტრუქტურა და მართვა

სკოლის სტრუქტურა იცავს დირექტორს, დირექციას, პედაგოგურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინალურ კომიტეტს.

დირექტორი არის სკოლის ძირითადი მმართველი. დირექტორს უფლება აქვთ მონაწილეობდეს სკოლის მართვაში წესდებით განსაზღვრული პირობებით.

მუხლი 4. სკოლის დირექცია

1. სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, აღმასრულებელი დირექტორისა და ფინანსური მენეჯერისაგან;
2. სკოლის აღმასრულებელ დირექტორსა და ფინანსურ მენეჯერს ნიშნავს დირექტორი.

## მუხლი 5. სკოლის აღმასრულებელი დირექტორი

### 1. აღმასრულებელი დირექტორი:

- ა) ახორციელებს სკოლის მართვას;
- ბ) წარმოადგენს სკოლას მესამე პირთან ურთიერთობაში;
- გ) დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს;
- დ) შეიმუშავებს საშტატო განრიგს;
- ე) მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- ვ) უზრუნველყოფს პედაგოგებთან ხელშეკრულების დადებასა და შესრულებას, დებს ხელშეკრულებებს ტექნიკურ პერსონალთან;
- ზ) უფლებამოსილია ვადადმდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება მასწავლებელთან ხელშეკრულების პირობის დარღვევის, აღზრდისა და საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში;
- თ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები;
- ი) განკარგავს თანხებს დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით;
- კ) განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;
- ლ) ზედამხედველობს სასწავლო აღმზრდელობით პროცესს;
- მ) გამოსცემს ინდივიდუალურ სამართებლივ აქტებს;
- ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით დაწესებულ სხვა საქმიანობას.

### 2. აღმასრულებელი დირექტორი აგებს პასუხს:

- ა) ეროვნულ სასწავლო გეგმის, განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულებასა და საადმინისტრაციო პროცესზე, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფაზე, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებასა და მოსწავლეთა პროფესიულ განათლებაზე;
- ბ) სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების და ფინანსების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობასა და რაციონალურად გამოყენებაზე;
- გ) სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

## მუხლი 6. პედაგოგიური საბჭო

1. პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის ყველა პედაგოგი;
2. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს პედაგოგიური საბჭოს თავდჯდომარე, რომელიც 3 წლის ვადით აირჩევა სიით შემადგენლობის უმრავლესობით. პედსაბჭოს თავდჯდომარე იწვევს და წარმართავს პედსაბჭოს სხდომებს;
3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;
4. პედსაბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით (არანაკლებ ხმებს მესამედისა);
5. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავდჯდომარე;
6. პედსაბჭო მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის ცალკეულ სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

## მუხლი 7. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები

### პედაგოგიური საბჭო:

- ა) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის სასწავლო გეგმას, წლიურ სამუშაო გეგმასა და განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
- ბ) საგნობრივ კათედრებთან შეთანხმებით ამტკიცებს ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფითინიჭებული სახელმძღვანელოებიდან პედაგოგის მიერ შერჩეულ სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელ სახელმძღვანელოთა ნუსხას;

გ) ირჩევს თავის წარმომადგენელს დისციპლინალურ კომიტეტში.

#### მუხლი 8. მოსწავლეთა თვითმმართველობა

1. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს;
2. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობას;
3. მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს თვითმმართველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით შემდეგი წესით:
  - ა) საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში;
  - ბ) მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღს ნიშნავს სკოლის დირექტორი;
  - გ) საბაზო და საშუალო საფეხურების თვითმმართველობაში თითოეული კლასის მოსწავლეები ირჩევენ თითო წარმომადგენელს შესაბამისი სასწავლო ვადით.
  - დ) საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის ულება აქვთ შესაბამისად, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს;
  - ე) საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები ხმას აძლევენ ერთ კანდიდატს. გამარჯვებულად ითვლება მოსწავლე, რომელიც შესაბამის კლასში მეტ ხმას მოიპოვებს.
  - ვ) მოსწავლეები, რომელთაც სურთ არჩეულნი იყვნენ საბაზო ან საშუალო საფეხურის თვითმმართველობაში რეგისტრაციას გადიან შესაბამისი კლასის დამრიგებელთან, არჩევნების ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე.
  - ზ) მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრობის კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოება მიმდინარეობს დადგენილი წესის მიხედვით.
4. თვითმმართველობის წევრები კანდიდატების შედეგების შემდეგ 7 დღის ვადაში საკუთარი შემადგენლობიდან სიით უმრავლესობით ირჩევენ შესაბამისი საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარეს, ხოლო საშუალო საფეხურის თვითმმართველობის წევრები იმავე წესით ირჩევენ თვითმმართველობის თავმჯდომარეს;
5. მოსწავლეთა თვითმმართველობა:
  - ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;
  - ბ) უფლებამოსილია დირექტორს, დირექციასა და პედსაბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის მოპოვებული გრანტის განკარგვასთან დაკავშირებით;
  - გ) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის კლუბებს.

#### მუხლი 9. მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა უფლებები და თავისუფლებები:

1. მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა უფლებები და თავისუფლებები განისაზღვრება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სკოლის შინაგანაწესითა და ამ წესდებით;
2. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვს თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო ან სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზარალის სრული ანაზღაურება;
3. სკოლა ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტური ორგანო.

#### 3 დისციპლინა და საჩივრების განხილვის წესი

#### მუხლი 10. დისციპლინალური დევნა

1. დისციპლინალური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;
2. სკოლის შინაგანაწესი ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინარული გადაცდომების და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინარულ სახდელებს;
3. მოსწავლის გაკვეთილიდან გამეგების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს;
4. მასწავლებელი ვალდებულია უმეთვალყურეოდ არ დატოვოს გაკვეთილიდან გამეგებული მოსწავლე;
5. სკოლიდან 5 დღემდე ვადით მოსწავლის გარიცხვის უფლება აქვს დირექტორს;
6. 5-დან 10 დღემდე სკოლიდან მოსწავლის დათხოვნის უფლება აქვს დისციპლინალურ კომიტეტს;
7. დისციპლინარული კომიტეტი მოსწავლის ცენტრიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით.

მუხლი 11. დისციპლინალური კომიტეტი:

1. დისციპლინალური გადაცდომის განხილვის მიზნით სკოლის მშობელთა კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა ირჩევს დისციპლინალურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედის; მშობელი, პედაგოგი და მოსწავლე (საშუალო საფეხურის);
2. დისციპლინალური კომიტეტი ირჩევა 1 წლის ვადით.
3. დაუშვებელია დისციპლინალური კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით.

მუხლი 12. მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა საჩივრის განხილვა:

1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს უფლება აქვს უფლებების დარღვევის შესახებ წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს ორი კვირის განმავლობაში;
2. დირექტორი საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან ორი კვირის ვადაში.
3. დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს დისციპლინარულ კომიტეტში გადაწყვეტილების გაცნობიდან ორი კვირის ვადაში.
4. საჩივარი არ განიხილება თუ მასში არ არის მითითებული შემდეგი რეკვიზიტები:
  - ა) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი;
  - ბ) უფლების დარღვევის არსი;
  - გ) მოთხოვნის არსი.

მუხლი 14. სკოლის ქონება:

დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციის განსახორციელებლად „კერძო სამართლის იურდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლას გააჩნია ქონება. მუხლი 15. საქმიანობა რომელიც საჭიროებს თანხმობას.

სკოლა უფლებამოსილია დირექტორს თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა;
- ბ) სესხის აღება;
- გ) თავდებობა;
- დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა.

მუხლი 16. სკოლის ფინანსები.

1. სკოლის ხარჯების დაკანონება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - სახელმწიფო ვაუჩერის გაცემით, შემოწირულობებისა და სწავლის გადასახადის საფუძველზე;
2. სკოლას უფლება აქვს მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის ეკონომიური საქმიანობით თუ ეს საქმიანობა არ ახდენს მავნეზეგავლენას მოზარდის ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე;
3. სკოლას უფლება აქვს სწავლის გადასახადიდან გაათავისუფლოს ან შეღავათი გაუწიოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, მასწავლებლის შვილებს და სოციალურად დაიცველი ოჯახების მოზარდებს;
4. სკოლის ყველა ხარჯი და შემოსავალი აისახება მის ბიუჯეტში.

მუხლი 17. ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა.

1. სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს დირექტორს; 2. აღმასრულებელი დირექტორი თანხებს განკარგავს დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით;
3. სკოლის წლიურ ბალანსს ამოწმებს დირექტორი.

მუხლი 18. სახელმწიფო კონტროლი.

1. სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის მიზნით, ხოლო საფინანსო-ეკონომიურ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო (საგადასახადო ინსპექცია);
2. სკოლა ყოველი თვის ბოლოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ რეგიონალურ ორგანოს (საგადასახადო ინსპექცია) წარუდგენს ფინანსური საქმიანობის ანგარიშს დადგენილი ფორმის მიხედვით;
3. მაკონტროლებელ ორგანოებს (განათლებისა და მეცნიერების, ფინანსთა სამინისტროები) უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია, რომელიც უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 10 დღის ვადაში.

მუხლი 19. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

1. სკოლის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და დირექტორი შემდეგ შემთხვევაში:
  - ა) თუ სკოლის საქმიანობა არაკონსტიტუციურია;
  - ბ) თუ სკოლა არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე.
2. სკოლის ლიკვიდაციას ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და დირექტორის მიერდანიშნული ლიკვიდატორი, რომელიც შეილება იყოს სკოლის აღმასრულებელი დირექტორი.

მუხლი 20. სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

წესდებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა ხდება დირექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის წესით.